„ვამტკიცებ”

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია
_____
27 მაისი 2024 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის საკლუბო ჩემპიონატი 2008-2010 წლებში დაბადებულ ძიუდოისტ ვაჟებს შორის

ოქროს ლიგა

თბილისი

2024

15 ივნისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

ოქროს ლიგაში მონაწილეობას მიიღებს ის თორმეტი კლუბი, რომელიც 2024 წლის 29 მარტს გამართულ საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა 12 საუკეთესო პოზიციაზე. კლუბებმა საკუთარი განაცხადები 11 ივნისამდე უნდა გააგზავნოთ მეილზე **registr.gjf@gmail.com**

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- შეჯიბრება ჩატარდება 15 ივნისს თბილისში სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლში“.
- კენჭისყრა ჩატარდება 14 ივნისს ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე - 14 ივნისი. წასვლის დღე - 16 ივნისი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 12:00 საათი.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 5 წონით კატეგორიაში: -55კგ; -60კგ; -66კგ; -73კგ; +73კგ

- აწონვა:

  14 ივნისი
  თბილისი, ძიუდოს აკადემია.
  არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
  ოფიციალური 17:00 – 17:30 საათამდე;

  15 ივნისი
  თბილისი, ძიუდოს აკადემია.
  არაოფიციალური 9:30 – 10:00 საათამდე;
  ოფიციალური 10:00 – 10:30 საათამდე;

VI. საპრიზო თანხა

- ოქროს ლიგის საპრიზო თანხად განსაზღვრულია 260 000 (ორას სამოცი ათასი) ლარი, რაც ნაწილდება კლუბებზე შემდეგნაირად:

I ადგილი – 50 000 ლარი	VII ადგილი – 15 000 ლარი
II ადგილი – 40 000 ლარი	VII ადგილი – 15 000 ლარი
III ადგილი – 30 000 ლარი	IX-XII ადგილი – 10 000 ლარი
III ადგილი – 30 000 ლარი	IX-XII ადგილი – 10 000 ლარი
V ადგილი – 20 000 ლარი	IX-XII ადგილი – 10 000 ლარი
V ადგილი – 20 000 ლარი	IX-XII ადგილი – 10 000 ლარი

- საპრიზო თანხების განკარგვის მიზნით კლუბებს ევალებათ ამ ჩემპიონატიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვა შემდეგი პრინციპის მიხედვით:
  1. არაუმეტეს საერთო თანხის 25% - კლუბის მწვრთნელ(ებ)ის ხელფასები.
  2. საერთო თანხის 40% - შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენთა სტიპენდირება.
  3. საერთო თანხის 25% - კლუბის განვითარებისათვის სავარჯიშო ინვენტარი, კიმანოები, სასწავლო შეკრების მოწყობა. ფედერაციასთან შეთანხმებით სხვა აქტივობა, რაც ხელს შეუწყობს კლუბის განვითარებას.
  4. საერთო თანხის 10% - საკუთარი შეხედულებით განკარგვა, გარდა მწვრთნელთა და ადმინისტრაციის პრემირებისა.
  5. დაუშვებელია კლუბის მიერ სპორტსმენთათვის განკუთვნილი სტიპენდიის ერთჯერადად ჩარიცხვა, თანხა უნდა განაწილდეს მინიმუმ 6 თვის განმავლობაში.

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.

- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;
ელექტრონული მისამართი: **registr.gjf@gmail.com**
საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577 99 44 07

P.S.

- შეჯიბრებაზე აუცილებელი პირობაა თითოეულ სპორტსმენს ჰქონდეს, როგორც ლურჯი, ასევე თეთრი ფერის კიმანო.
- ასევე აუცილებელი პირობაა თითოეული კლუბის მწვრთნელს ეცვას კლასიკური შარვალ-კოსტუმი.
- სპორტსმენთა მაქსიმალური რაოდენობა კლუბისთვის განისაზღვროს 10-ით, თითოეულ წონით კატეგორიაში 2 კვოტით.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის დასაშვებია 1კგ ზედმეტი წონა.

ფედერაციის პრეზიდენტი

გიორგი ათაბეგაშვილი